

კოლექტიური და ისტორიული მემსიერების ტრანსფორმირება
აფხაზეთი, პოსტ-კონფლიქტური პერიოდი

ნათია ჩაჩავა

სამაგისტრო ნაშრომი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი - ასოცირებული პროფესორი
თანახელმძღვანელი : მალხაზ თორია - ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნათია ჩაჩავა

26.06.2019

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მეხსიერების პოლიტიკასთან, წარსულის აღქმასა და ისტორიის რეპრეზენტაციასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული თემები გაანალიზდა აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში. ძირითადი აქცენტი დასმულია პოლიტიკური აქტორების მხრიდან პოლიტიკური მიზნებისთვის ისტორიული ფაქტების გადაწერაზე, ახალი ნარატივების შექმნაზე, კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე. შესავალში მოკლედ არის ასახულია რა პროცესები განვითარდა მე-20-ე საუკუნის მიწურულს პოსტ საბჭოთა სივრცეში და როგორ აისახა მიმდინარე პროცესები ეთნიკურ კონფლიქტზე საქართველოში, კერძოდ კი აფხაზეთში. ნაშრომში საუბარია 90 -იანი წლების შემდგომ, აფხაზურ საზოგადოებაში ომთან დაკავშირებულ აღქმებსა და კოლექტიური მეხსიერებაზე. ერთ - ერთი მთავარი აქცენტი დასმულია პოლიტიკური ელიტების მიერ ისტორიული წარსულის ინტერპრეტაციაზე და ამ პროცესში აკადემიის როლზე. კვლევის მიზანია: გამოიკვეთოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ესკალაციაში, აქტორების მიერ გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტი და მოწინააღმდეგის სტრატეგიის გათვალისწინებით, ადექვატურად გაანალიზდეს არსებული საფრთხეები. ძირითად საკვლევ კითხვას წარმოადგენდა:

1. როგორ/რატომ ხდება აფხაზეთის დეფაქტო მთავრობის მიერ 90 -იანი წლების მოვლენების გამოყენება კოლექტიური მეხსიერების ფორმირებისთვის?

2. როგორ/რატომ იყენებს პოლიტ-ელიტა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს კოლექტიური მეხსიერებს შესაქმნელად. გარდა ამისა, შევეცადე დამედგინა, ისტორიული მეხსიერების ცვლილების შემთხვევაში ვინ არიან ამ ტრანსფორმაციის ინიციატორები?! მხოლოდ პოლიტიკური აქტორები, მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის წევრები, თუ ორივე ერთად?!

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად იყენებს ტრანსგულაციას. რომელიც დამეხმარა დამედგინა: როგორ შეიქმნა აფხაზეთში 90 - იანი წლების შემდგომ კოლექტიური

მეხსიერება და ტრანსფორმირდა თუ არა ის ისტორიული მეხსიერებად. გარდა ამისა, აფხაზური კოლექტიური მეხსიერების მახასიათებლების გამოსავლენად, გამოვიყენე ტექსტური ნარატივებისა და მეხსიერების არეების შინაარსობრივი ანალიზის (კონტენტ ანალიზის) მეთოდი. კვლევის პროცესში, გაანალიზდა პირველადი წყაროები, მეორადი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, ეთნიკური ჯგუფისა და საექსპერტო წარმომადგენლებთან ჩაწერილი ინტერვიუები. გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო დეტალი. აღმოჩნდა, რომ ქართულ აფხაზურ კონფლიქტში ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მხარეების მიერ ისტორიის განსხვავებული აღქმაა. ორი რადიკალურად განსხვავებული: ანტი ქართული და ანტი აფხაზური ნარატივები კი იმ კოლექტიური მეხსიერების პროდუქტია, რომელზეც პოლიტიკური აქტორები წლების განმავლობაში მუშაობდნენ და სასურველი შედეგის მისაღწევად სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებდნენ. (ჩაჩავა 2019. აკად. წერა)

ძირითადი სიტყვები: ისტორიული მეხსიერება, კოლექტიური მეხსიერება, წარსული, აფხაზეთი, ეთნიკური კონფლიქტი, ნარატივი.

Abstract

The issues related to memory politics, past perception, and history representation are there being discussed in this master's work. These topics have been analyzed with respect to the Abkhaz conflict. The main emphasis is placed by the political actors' rewriting historical facts for political purposes, creation of new narratives, and formation of collective memory. In the introduction there is briefly described of what processes had been developed at the end of the 20th century in the post-Soviet space and how the current processes reflected on ethnic conflict in Georgia, namely in Abkhazia.

The work deals with the perceptions and collective memory of the war in the Abkhazian society after 90 years. The political elites placed one of the main emphases on interpretation of past historical period and the role of the academy in this process. The aim of the research is to reveal the main instruments used by the actors in escalation of the Georgian-Abkhaz conflict anticipating the opponent's strategies, as well as to adequately analyze existing threats.

The main questions to study were:

1. How/why are used the 90s' events by the defacto Abkhazian government for formation of collective memory?
2. How / Why Political elite uses specific historical events to create the collective memory.

In addition, I tried to find out who would be the initiators of this transformation in the case of changing the historical memory?! Only political actors, only members of the ethnic group, or both? Methodologically this work is considered to the category of a basic qualitative research and uses triangulation as a basic methodology approach. All these helped me to find out how was created the collective memory of Abkhazia in 90s and was it transformed into historical memory or not? Also I used text narratives and method of memory areas content analysis for revealing Abkhazian collective memory characteristics. In the study process, there was analyzed primary sources, secondary sources, scientific literature, interviews with ethnic group

and expert representatives. Some interesting details have been identified. It turned out that one of the main reasons for the Georgian-Abkhazian conflict there was the party's different perception of history. Two radically different views: Anti-Georgian and anti-Abkhazian narratives as products of collective memory, which were worked out during years by political actors using various tools to achieve desired results. (Natia Chachava 2019. Academic Writing)

Key keywords: Historical memory, Collective memory, past, Abkhazia, ethnic conflict, narrative.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა, ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს : ნინო ფავლენიშვილს და თანახელმძღვანელს - მალხაზ თორიას. მათ, საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებით და წინადადებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინეს კვლევის ეტაპზეზე. ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს: ოლივერ რაისნერს, საინტერესო ლიტერატურის მოწოდებისთვის. ამასთანავე, დიდ მადლობას ვუხდის გერმანულ არასათავრობო ორგანიზაცია „ბერგოფს“ კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინტერვიუების მოწოდებისთვის. გარდა ამისა, მინდა მადლობა გადავუხადო, ილიას უნივერსიტეტის ლექტორს, ბატონ გიორგი ანჩაბაძეს, სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორს ზურაბ პაპასქირს, ასევე ქართულ-აფხაზური კონფლიქტების უცხოელ ექსპერტებს: ოლივერ ვოლესა და ანდრეა ზემსკოვ ცუეგეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად დამთანხმდა ინტერვიუზე.